სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხელშეკრულება N 27/16-1

ქ. თბილისი 12 დეკემბერი 2016 წ.

ხელშეკრულების დამდები მხარეები

შპს ,,ვარდნილჰესების კასკადი", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N 8, ფაქ. მდებარე გალის რ-ნი, დას. რეჩხი, შემდგომში ,,შემსყიდველად" წოდებული, მისი დირექტორის – შოთა სანაძის სახით, რომელიც მოქმედებს საწარმოს წესდების შესაბამისად, ერთის მხრივ და

სს ,,საქენერგორემონტი", მისამართი ზაჰესი, კასკადის ქ. N 1ა, შემდგომში ,,მიმწოდებლად" წოდებული, მისი გენერალური დირექტორის დავით კაკაბაძის სახით, რომელიც მოქმედებს ასევე საწარმოს წესდების საფუძველზე ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და მე-5-ე მუხლის მე-6-ე პუნქტის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1.,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში-,,ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2.,,ხელშეკრულების ღირებულება" –საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3.,,დღე", ,,კვირა", ,,თვე"- კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4.,,შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5.,,მიმწოდებელი" –პირი, რომელიც ახორციელებს მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6.,,მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7."ტექნიკური დავალება" – გასაწევი მომსახურეობის მოცულობა, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2.ხელშეკრულების საგანი

2.1.შესყიდვის ობიექტია:

"შპს ,,ვარდნილჰესების კასკადის" #1 ჰიდროაგრეგატის აღდგენითი სამუშაოები

2.2 კლასიფიკატორის კოდი: 50532000

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1.საერთო სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 150 000 (ასორმოცდაათ ათას) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4.მომსახურების გაწევის ადგილი, ვადები და პირობები.

4.1 მომსახურების გაწევის ადგილია: აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. რეჩხი, შპს ,,ვარდნილჰესების კასკადი".

4.2 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია დადგენილ ვადებში სათანადო ხარისხით განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება და წარმოადგინოს ტექნიკური დოკუმენტაცია გაწეულ მომსახურეობაზე.

4. 3 მომსახურების გაწვის ვადაა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 60 კალენდარული დღე :

4.4 მიმწოდებელს უფლება აქვს მომსახურების გაწევა შემსყიდველთან შეთანხმებით განახორციელოს 2-3 ცვლიანი გრაფიკით და ამით საჭიროების შემთხვევაში შეამციროს მომსახურების გაწევის ვადა.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ჰიდროაგრეგატის საცდელი ვადით გაშვება ხდება ინსპექტირების ჯგუფის მიერ გაწეულ მომსახურებაზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირი.

5.2 საბოლოო-მიღება ჩაბარების აქტი დგება ჰიდროაგრეტის 48 საათიანი საცდელი ვადით გაშვების დამთავრების შემდეგ.

5.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირებია შპს ,,ვარდნილჰესების კასკადი"-ს მთ. ინჟინერი - გ. ქათალანძე , მთ. ინჟინრის მოადგილეები: ზ. შაკაია და ზ. ზაქარაია.

6. ანგარიშსწორება

6.1.ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა- ლარი:

ბ) ანგარიშსწორების ფორმა- უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, შესაბამისი დოკუმენტების (მიღება-ჩაბარების-აქტი და საგადასახადო ანგარიშფაქტურა) წარმოდგენიდან 10 საბანკო დღეში.

6.3 საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეულ მომსახურებაზე ინსპექტირების ჯგუფის მიერ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათ) საბანკო დღეში.

7.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1"მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

- მკაცრად დაიცვას მომსახურების დამთავრების სახელშეკრულებო ვადები, უზრუნველყოს სათანადო ხარისხი;
- მკაცრად დაიცვას უსაფრთხოების ტექნიკის წესები;
- მომსახურება გაწიოს საკუთარი სამუშაო იარაღებითა და სამარჯვებით.
- "მიმწოდებლის" მხრიდან პასუხისმგებელი ვალდებულია ნებისმიერ დროს მოახსენოს "შემსყიდველის" წარმომადგენელს მომსახურების გაწევისას წამოჭრილი პრობლემების შესახებ .

7.2 "შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას
-მოახდინოს ,,მიმწოდებლის" სამუშაოზე დაშვება არსებული უსაფრთხოების ტექნიკის წესების სრული დაცვით.
- გაწეული მომსახურების საფასურის ანაზღაურება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების 6,3 პუნქტის პირობების შესაბამისად.

7.3 მომსახურების გაწევის დაწყებამდე მხარეები იძლევიან ინფორმაციას მათი მხრიდან სამუშაოს წარმოებასა ("მიმწოდებელი") და ზედამხედველობაზე ("შემსყიდველი") პასუხისმგებელი პირების დანიშვნის შესახებ.

7.4 "შემსყიდველი" აბარებს "მიმწოდებელს" შეკვეთის ობიექტს უსაფრთხოდ ყველა საჭირო ღონისძიებების (გამორთვა, დაცლა და სხვ.) შესრულების შემდეგ.

7.5 "მიმწოდებელს" უფლება ეძლევა მომსახურების გაწევისას უსასყიდლოდ გამოიყენოს სამანქანო დარბაზში არსებული ხიდურა ამწეები, როდესაც ამწე არ იქნება დაკავებული საექსპლოატაციო სამუშაოების შესრულებით.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ინპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

შპს ,,ვარდნილჰესების კასკადი"-ს მთ. ინჟინერი - გ. ქათალანძე , მთ. ინჟინრის მოადგილეები: ზ. შაკაია და ზ. ზაქარაია.

9. გარანტია

9.1 ჰიდროაგრეგატის ექსპლუატაციაში შეყვანიდან მიმწოდებლის მიერ შეკეთებულ ყოველ კვანძზე ვრცელდება 6 თვიანი საგარანტიო ვადა. ამ პერიოდში გამოვლენილი ნაკლოვანებები აღმოფხვრილიქნება ,,მიმწოდებლის" მიერ დამატებითი ანაზღაურების გარეშე. თუ დამტკიცდება რომ გამოვლენილი დეფექტი შედეგია არასწორი ექსპლუატაციის, მიმწოდებელი პასუხს არ აგებს დეფექტების აღმოფხვრაზე.

10. ხელშეკრულების პირობებისა და ფასების გადასინჯვა

10.1 შესყიდვის ობიექტის მთლიანად დაშლის შემდგომ დადგენილ იქნება გასაწევი მომსახურების ზუსტი მოცულობა, რომლის მიხედვითაც მოხდება არსებული ხარჯთაღრიცხვისა და სახელშეკრულებო თანხის კორექტირება.

10.2 ფასთა ცვლილება განიხილება სამუშაოთა მოცულობაში ცვლილებების ან/და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მაგრამ ზრდადობისკენ არა უმეტეს თავდაპირველი სახელშეკრულებო თანხის 10%-ისა.

10.3 ყველა დამატება ან შესწორება ამ ხელშეკრულების ირგვლივ ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელმოწერილი და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

12.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისას

12.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

12.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

12.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები.

12.5 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.

12.6 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხდელი თანხის 0.02 პროცენტის ოდენობით.

12.7 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ფორს-მაჟორი

13.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

13.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება დამატებითი კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

13.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები.

"შემსყიდველი"
შპს "ვარდნილჰესების კასკადი"
ს/კოდი-251716362
იურ. მისამართი ქ.თბილისი,
ა.პოლიტკოვსკაია #8,
სს ,,საქართველოს ბანკი''
ბანკის კოდი MBAGAGE22
ა/ა GE77BG0000000033367500
დირექტორი
---------- შ. სანაძე

"მიმწოდებელი"
სს ,,საქენერგორემონტი"
ს/კოდი 236037962
მისამართი, ზაჰესი, კასკადის ქ. 1ა

სს ,,საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი MBAGAGE22
ა/ა GE68BG0000000034284100
გენერალური დირექტორი
---------- დ. ჯაბაძე

ვარდნილჰესის №1 ჰიდროაგრეგატის აღდგენა
ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა	თანხა ლარი
1	აგრეგატის ზეთმიმღების, აღგზნების სისტემის და საქუსლეს დემონტაჟი, რეცხვა-გაწმენდა, ზეთგამაციებლების ჰიდრავლიკური გამოცდა, დეტალების დეფექტაცია	კომპლექტი	1	2,191.00
2	აგრეგატის ჯვართავას დემონტაჟი, დაყენება სამონტაჟო მოედანზე, გაწმენდა, შენადუღი ნაკერების ფერადი დეფექტოსკოპია, დეფექტების აღმოფხვრა, გამბრჯენი დომკრატების შეკეთება	კომპლექტი	1	3,026.00
3	როტორის პოლუსების დემონტაჟი	ცალი	32	2,866.00
4	როტორის სამუხრუჭე სისტემის დომკრატების შეკეთება, რეზინის მანჟეტების შეცვლა	ცალი	7	2,916.00
5	როტორის დემონტაჟი და დაყენება სამონტაჟო მოედანზე	როტორი	1	2,041.00
6	ტურბინის საკისრის დემონტაჟი, დაზიანებული განბრჯენი სამაგრის და შტიფტების აღდგენა	კომპლექტი	1	2,316.00
7	სტატორის აქტიური ფოლადის შეკეთება, ელ. გამოცდა	კომპლექტი	1	28,128.00
8	როტორის დაზიანებული პოლუსების გულანას შესწორება	პოლუსი	3	2,866.00
9	სტატორის გრაგნილის დაზიანებილი ზედა ღეროს დემონტაჟი, შეკეთება და მონტაჟი	ღერო	3	2,131.00
10	როტორის პოლუსების რეცხვა-გაწმენდა, გამომყვანების მოკალვა, კოჭების ხვიათაშორისი იზოლაციის გაზომვა-აღდგენა, კოჭების დაპრესვა და სიმაღლის რეგულირება, შედებვა საიზოლაციო ლაკით	პოლუსი	32	13,691.00
11	როტორის პოლუსების ახალი სოლების შეწყვილება-მორგება	სოლი	256	5,853.00
12	როტორის ფერსოს ფორმის შემოწმება, შესწორება ცხელი გადასოლვით, ფორმულარის შედგენა	ფერხო	1	3,966.00
13	როტორის პოლუსების მონტაჟი სამონტაჟო მოედანზე, გამომყვანების რჩილვა	პოლუსი	32	5,691.00
14	გენერატორის საკისრის ღერძის დაზიანებული მუშა ზედაპირის აღდგენა ხეხვა-პოლირება	ღერძი	1	2,316.00
15	გენერატორის საკისრის ახალი სეგმენტების ბაბიტის საფარის შაბირება და მორგება საკისრის ღერძზე	სეგმენტი	8	2,042.00
16	გენერატორის საკისრის დაზიანებული საყრდენი ბალიშების ბზარების დამუშავება და დადუღება	ცალი	5	2,366.00

17	გენერატორის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ჰაერგამყოფი ფარების აღდგენა	კომპლექტი	1	2,454.00
18	სტატორის გრაგხილის შუბლური და პაზური ნაწილის რეცხვა ბენზინ-სპირტიანი ხსნარით, ჩასოლვის შემოწმება, შედებვა საიზოლაციო ლაქით	სტატორი	1	5,704.00
19	გენერატორის როტორის ჩაშვება სტატორში, ტურბინის და გენერატორის ღერძების შეწყვილება	როტორი	1	1,904.00
20	ჯვართავას მონტაჟი	ჯვართავა	1	2,454.00
21	საქუსლეს მონტაჟი, ჰიდრავიკური საყრდენების რეგულირება	კომპლექტი	1	2,454.00
22	აღგზნების სისტემის და ზეთმიმღების მონტაჟი	კომპლექტი	1	1,078.00
23	გენერატორის საკისრის მონტაჟი	კომპლექტი	1	2,320.00
24	გენერატორის დადარული გადახურვის და ჰაერგამყოფი ფარების მონტაჟი	კომპლექტი	1	2,042.00
25	როტორის საკონტაქტო რგოლების მუშა ზედაპირის აღდგენა საქარხნო პირობებში	კომპლექტი	1	2,186.23
	ჯამი:			107,002.23
	ზედნადები ხარჯები			10,700.22
	ჯამი:			117,702.45
	მოგება			9,416.20
	ჯამი:			127,118.64
	დღგ 18 %			22,881.36
	სულ ჯამი			150,000.00

შემსრულებელი

_____ გიორგი მაღრაძე